



EHRAC-ის მიერ შეტანილი სარჩელი საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოლიტიკურად მოტივირებული პატიმრობის შესახებ დიდმა პალატამ მოისმინა

გამოქვეყნების თარიღი: 2017 წლის 28 მარტი

2017 წლის 8 მარტს, EHRAC-ის ადვოკატები, [პროფესორი ფილიპ ლიჩი და ჯოან სოიერი საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრს ივანე მერაბიშვილს წარმოადგენდნენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის წინაშე გამართული ზეპირი მოსმენის დროს](#). მათი მტკიცებით, ივანე მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობა იყო უკანონო, გადაჭარბებული და პოლიტიკურად მოტივირებული.



ფილიპ ლიჩი და ჯოან სოიერი დიდ პალატას ზეპირ არგუმენტებს აცნობენ, 2017 წლის 8 მარტი (ფოტო ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს)

ივანე მერაბიშვილი, საქართველოში “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” ლიდერი, 2012 წელს საქართველოს პრემიერ-მინისტრი იყო, ხოლო მანამდე შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე მსახურობდა. მას შემდეგ, რაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოვიდა პარტია “ქართული ოცნება”, ბატონი მერაბიშვილი “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” გენერალურ მდივნად დაინიშნა. აღნიშნული პარტია ქვეყანაში წამყვან ოპოზიციურ ძალას

წარმოადგენს. მერაბიშვილი 2013 წლის 21 მაისს დააკავეს, ამომრჩეველთა მოსყიდვისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებების საფუძველზე, რისთვისაც მას წინასწარი პატიმრობა მიესაჯა. სასამართლომ ბატონ მერაბიშვილს უარი უთხრა წინასწარი პატიმრობის შეწყვეტის შესახებ თხოვნაზე.

ივანე მერაბიშვილმა, რომლის ინტერესებსაც წარმოადგენენ EHRAC და ადვოკატი ოთარ კახიძე თბილისიდან, სარჩელი შეიტანა ევროპულ სასამართლოში; კერძოდ, სარჩელში ბატონი მერაბიშვილი ამტკიცებდა, რომ მისი წინასწარ პატიმრობა უკანონოა და წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის 1 და 3 პუნქტებით დაცული თავისუფლების უფლების დარღვევას. ივანე მერაბიშვილი აგრეთვე ამტკიცებდა, რომ მისი პატიმრობა პოლიტიკურად იყო მოტივირებული, რითაც ირღვეოდა კონვენციის მე-10 მუხლი. მან სასამართლოს შეატყობინა, რომ 2013 წლის 14 დეკემბერს, გვიან ღამით, იგი გაიყვანეს საკნიდან მთავარ პროკურორთან და ციხის ხელმძღვანელთან შესახვედრად. შეხვედრის



დროს მას მოსთხოვეს ინფორმაცია ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებისა და საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ოფშორული საბანკო ანგარიშების შესახებ. მას დაემუქრნენ მდგომარეობის დამძიმებით, თუ თანამშრომლობაზე უარს განაცხადებდა.

2016 წლის 14 ივნისს, სასამართლოს დიდმა [პალატამ დაადგინა](#), რომ მერაბიშვილის პატიმრობა პოლიტიკური მიზნებისთვის იქნა გამოყენებული, მე-18 მუხლის დარღვევით, და აღნიშნა, რომ პატიმრობა არ უნდა იქნას გამოყენებული ბრალდებულზე მორალური წნეხის განსახორციელებლად. პროფესორი ფილიპ ლიჩი მე-18 მუხლის დარღვევის დადგენის მნიშვნელობაზე საუბრობს ონლაინ გამოცემისათვის [European Journal of International Law Talk!](#) მომზადებულ ბლოგში და განიხილავს სასამართლოს მიდგომას რუსეთში, უკრაინასა და აზერბაიჯანში პოლიტიკურად მოტივირებული დაკავებებისა და პატიმრობების შესახებ საქმეების მიმართ. სასამართლომ აგრეთვე დაადგინა საქართველოს მიერ კონვენციის მე-5(3) მუხლის დარღვევა, ვინაიდან ბატონი მერაბიშვილის თხოვნა წინასწარი პატიმრობის გადასინჯვის შესახებ დაუსაბუთებლად იქნა უარყოფილი.

ეროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველომ დიდ პალატაში გაასაჩივრა. დიდ პალატაში საჩივრის განსახილველად მიღება იშვიათად ხდება: კერძოდ, [2016 წელს დიდმა პალატამ განსახილველად მიიღო მხოლოდ 14 საჩივარი](#), რაც ხაზს უსვამს წინამდებარე საქმის მნიშვნელობას, როგორც ეროვნულ ისე საერთაშორისო დონეზე. ბატონმა მერაბიშვილმა დიდი პალატის გააცნო იგივე არგუმენტები, რა არგუმენტებიც მან ევროპულ სასამართლოში მიმდინარე საქმის განხილვის დროს წარადგინა. დიდი პალატა მიღებული გადაწყვეტილების შესახებ განცხადებას მოგვიანებით გამოაქვეყნებს.

დიდი პალატის წინაშე გამართული მოსმენის შემდეგ, EHRAC-ის ადვოკატმა ჯოან სოიერმა განმარტა:

“ამ საქმის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ სისხლის სამართლებრივი პროცესი გამოყენებული იქნა ბატონი მერაბიშვილის მიერ პოლიტიკურ პროცესებში ეფექტურად მონაწილეობის თავიდან ასაცილებლად, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე პერიოდში.”

დიდმა პალატამ პირველად მიიღო განსახილველად საქმე, რომელიც მე-18 მუხლს შეეხება. დამდგარი პოზიტიური შედეგი არა მხოლოდ ბატონ მერაბიშვილს მოუტანს სარგებელს, არამედ ბევრ სხვა ადამიანსაც, რომელთა წინააღმდეგაც განხორციელდა პოლიტიკურად მოტივირებული დაკავება, პატიმრობა თუ სისხლის სამართლებრივი დევნა.”

[დიდი პალატაში გამართული სხდომის ჩანაწერის ხილვა შესაძლებელია სასამართლოს ვებ-გვერდზე.](#)